

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია

ოქმი N 2

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

15 დეკემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკით და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე - *გელა ჩიკვაძე*

სხდომას ესწრებოდნენ: *გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე,
ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, თამარ შენგელია, რამაზ არველაძე.*

*საკრებულოს აპარატის საორგანიზციო განყოფილების მთვარი სპეციალისტი საოქმო
წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე*

სხდომას საპატიო მიზნით არ ესწრებოდა: აპოლონ რამიშვილი

დასწრების ფურცელი თან ერთვის /დანართიN1/.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხს: დავით გაბუნია/

2.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული საქართველოს - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ წევრის აპოლონ რამიშვილის განცხადება - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრად გამოსვლის შესახებ, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში შესვლის შესახებ.

/მომხს: გ. ჩიკვაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -მრეწველების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ.

/მომხს: გ. ჩიკვაიძე/

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბ.ნ დავით გაბუნია, რომელმაც ისაუბრა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაციის გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გეგმა შედგენილია საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 102-ე მუხლის პირველი პუნქტის - „საჯარო სამსახურის ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით შესაძლებელია საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმა“, 103-ე მუხლის პირველი პუნქტის, 104-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

მერიის რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს 2018 წლის 15 თებერვლამდე.

კომისიის წევრმა ბ.ნ გიორგი ივანიამემ მიმართა კითხვით მომხსენებელს: წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ჩასამატებელია „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების 41-ე მუხლი და ასევე განკარგულების პროექტში არ უნდა იყოს მითითებული მერიის სტრუქტურული ერთეული, კარგი იქნება თუ ამ შენიშვნებს გავითვალისწინებთ. მომხსენებელმა არნიშნა, რომ მიღებული შენიშვნები და ჩვენ გავასწორებთ აღნიშნულ შეცდომებს.

კომისიის მხრიდან სხვა შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნული საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ბ.ნ გელამ კომისიას გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ეროვნული საქართველოს - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ წევრის აპოლონ რამიშვილის განცხადება, - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრად

გამოსვლის შესახებ და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში შესვლის შესახებ.

კომისიამ მიიღო ცნობის სახით აღნიშნული განცხადება, რომელიც მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

მესამე საკითხად მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინთ საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ დასარეგისტრირებლად საჭირო დოკუმენტებს: ფრაქციის წესდებას, პოლიტიკურ პლატფორმასა და სადამფუძნებლო კრების ოქმს.

მოგახეხებთ, რომ ფრაქცია იქმნება შემდეგი შემადგენლობით :

1. ვლადიმერ ჭვალაძე-ფრაქციის თავმჯდომარე
2. თამთა დვალიშვილი-ფრაქციის მდივანი
3. მერაბ ხურციძე

კომისიამ მიიღო ცნობის სახით წარმოდგენილი განცხადება.

მომხრე - 9
წინააღმდეგი - არცერთი

კომისიის გადაწყვეტილებით დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი დამტკიცებულია კომისიის მიერ და საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე დასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე

საკრებულოს იურიდიული, სამანდატო,

**საპროცედურო საკითხებისა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე**